**საქართველოს მთავრობის**

**დადგენილება №473**

**2025 წლის 24 ოქტომბერი**

**ქ. თბილისი**

**„საგზაო უსაფრთხოების უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 ივლისის №352 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საგზაო უსაფრთხოების უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 ივლისის №352 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/07/2022, 310150000.10.003.023563) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

**1. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„**მუხლი 1.** „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს 2022 – 2025 წლების საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის შესრულებისა და შესაბამისი მონიტორინგის განხორციელების მიზნით, შეიქმნას საგზაო უსაფრთხოების უწყებათაშორისი კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

1. **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე** – კომისიის თავმჯდომარე.

2. **საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ან მოადგილე** – კომისიის წევრი.

3. **საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე ან მოადგილე** – კომისიის წევრი.

4. **საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე ან მოადგილე** – კომისიის წევრი.

5. **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ან მოადგილე** – კომისიის წევრი.

6. **საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე ან მოადგილე** – კომისიის წევრი.

7. **საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე** – კომისიის წევრი.

8. **სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი** – კომისიის წევრი.

9. **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორი** – კომისიის წევრი.

10. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე** – კომისიის წევრი.

11. **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი** – კომისიის წევრი.

12. **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი** – კომისიის წევრი.

13. **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგზაო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი** – კომისიის წევრი.“.

**2. დადგენილებით დამტკიცებული „საგზაო უსაფრთხოების უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„6. კომისიის სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგზაო უსაფრთხოების დეპარტამენტი. კომისიის სამდივნო უზრუნველყოფს კომისიისა და სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზებას.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი კობახიძე**